„უპირობისთვის მწუხვლით ცრუ სოფელს და საქართველოს სახელს ვაგოდებთ, დადგება ჟამი, იმის ხელმყოფელს უფრეტის ცეცხლით დავანაფოტებთ!“
მერაბ ვოსტავა

სტუდენტური გაზეთი

№ 3, 1990 წლის
12 თებერვალი

ფასი 1 მან.

გამოდის 1989 წლის
10 ოქტომბრიდან

თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში არსებული ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი ჯგუფი — სტუდენტური კავშირი

მოსაგონარი

ჩვენთვის არნახული სისხლისღვრით ჩაიარა 1989 წელმა. რამდენი ღირსეული მამულიშვილი მივაბარეთ მიწას. მართლაც-და საკვირველია, რა დავაშავეთ ისეთი, რომ ამდენი უსამართლობა დაგვატყდა თავს ასე ერთბაშად. რა ცოდო-ბრალი აწევს ქართველს, რომ თავის დღე და მოსწრება სულ სამართლიანობისათვის ბრძოლაში უნდა. გაატაროს სამართალს კი ვერ ელირსოს. ვოვა ვეკუა, მერაბ კოსტავა, სოსო ადამია, ზურაბ ჭავჭავაძე-მათი სიკვდილი ხომ ტრაგედიაა ეროვნული მოძრაობისათვის, რომელსაც არც ისე ბევრი ჰყავს მათნაირი წმინდა და ღირსეული მამულიშვილი.

ზურა... რამდენი რამე გვეთქმის შენზე, რომელი ერთი მოიგონოს ადამიანმა, რით შევიმსუბუქოთ ის ნაღველი, შენი უდროოდ წასვლით რომ ჩაგვისახლდა სულში.

როგორი მზრუნველი იყავი ყველას მიმართ, ყველა ვცდილობდით შენთან სიახლოვეს, ჩვენი გაზეთის დაარსების იდეა პირველად ხომ შენ გაგიმხიელეთ, ჩვეული სიდინჯით და გულისხმიერებით მოგვისმინე და დაგვარიგე, აგვიხსენი თუ როგორ მზადდებოდა გაზეთი. ჩვენს მიერ წაკითხული მასალა გაგვიანალიზე და შეგვისწორე. გაზეთის სახელწოდებაც ხომ შენ შეგვირჩიე. რამდენი ვისაუბრეთ და ვიკამათეთ მაშინ, დავცილდით იმ იმედით, რომ ორი დღის შემდეგ ისევ შევხვდებოდით და აწყობილ მაკეტს ჩაგაბარებდით. ღმერთო! რა ბედნიერები ვყოფილვართ იმ დღეს, რა იმედითა და სიხარულით აღვსილნი დაგცილდით და თურმე საბოლოოდ. 13 ოქტომბერი, დათქმული შეხვედრა, სიხარულით არჩენილი კიბეები და ...

ბატონი მერაბის დაკრძალვის შემდეგ სევდანარევი იმედის გრძნობით ველოდით შენს გამოჯამრთელებას. უკვე ხომ აღარავინ ფიქრობდა, რომ ეს მოხდებოდა.

რაოდენ ძნელი და სამწუხაროა იმის გააზრება, რომ ზურა, ჩვენი ზურა, დღეს აღარ არის ცოცხალთა შორის, რომ ველარასოდეს ვიხილავთ მუდამ ღიმილიანს, დაფიქრებულს, მართალს, რომ ველარასოდეს მივალთ ზურასთან და ვეტყვით: აპა, ზურა, ნახე ჩვენი გაზეთი, როგორც იქნა გამოვუშვით, რომ აღარ დაგაცალა ვერაგმა და დაუნდობელმა წუთისოფელმა ილიას მიერ ნანატრი საქართველოს ხილვა.

ზურა, შენ ჩვენთვის დაუვიწყარი და მარადჟამს ცოცხალი ხარ, ჩვენში რჩები და რაც დრო გავა, მით უფრო დაფასდება შენი ღვაწლი ქართველი ერის მიმართ, მით უფრო გაირკვევა, რომ შენისთანა ადამიანები იშვიათად იბადებიან და ზეთ გაფრთხილება და დაფასება ესაჭიროებათ.

ბეჟან ენუქიძე

ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას

შავად მოიქუფრა კაშადონი,
ძახილმა დაიარა მთები,
ღმერთო! ცხადია თუ მონაგონი
ზურაბ! სიკვდილი შენი.

ასგზის ნაგვემს და ნაიარევს,
სიკვდილიც წამებული გერგო.
ცხოვრების გზა ისე გაიარე,
ყველასთან ძმობის ხიდი გედო.

როგორც დიდების მზე, ჩაესვენე
ვაგლახ გვეჭირდებოდი როგორ,
შენი სიდინჯე და მოკრძალება
როგორ გვეჭირდებოდა როგორ.

ვერასდროს ვერავინ გაბედავს,
ირწმუნოს სიკვდილი შენი,
ჩვენ შენ ყოველდღე გხედავთ,
ჩვენ შენ ყოველდღე გხვდებით.

იაგო არაბული

უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორატს

მსოფლიოში არსებულ ყველა სასწავლებელს აქვს სასწავლო გეგმა, რომლის მეშვეობითაც ხდება სწავლების რეგულირება მასში და ამ სასწავლო გეგმის შედგენისა და მის გადამუშავება-შეცვლაზე თვით ეს თუ ის სასწავლო ორგანიზაცია ზრუნავს. საბჭოთა კავშირში კი მას ადგენს და აკანონებს ერთადერთი უწყება-ქალაქ მოსკოვში მდებარე "საბჭოთა კავშირის" სახალხო განათლების კომიტეტი. ამდენად ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო გეგმა ძლიერ ჰგავს ერთიმეორეს, განსხვავებანი მხოლოდ ინსტიტუტთა საგნობრივ მიმართულებაში მდგომარეობს.

მათ შორის არის ჩვენი ინსტიტუტიც და ბუნებრივია, აქაც ფართო გასაქანი აქვს ყველასათვის "სავალდებულო" საგნებს.

თუ მცირედი რამ შეიცვალა ინსტიტუტის სასწავლო პროცესში, ესეც მხოლოდ "იმ" ცენტრალური საკავშირო უწყებიდან მოსულ დირექტივას ძალუძს.

ასეთი დირექტივის სახით წელსაც მოვიდა ჩვენს ინსტიტუტში ახალი სასწავლო გეგმა /რა თქმა უნდა, რუსულად, რუსულ ბარათზევე დაბეჭდილი/, ფორმალურად განსახილველად და უცილობლად დასამტკიცებლად იმ სახით, რომლითაც გამოგზავნილ იქნა.

უნდა აღინიშნოს, რომ იგი თითქმის არაფრით განსხვავდება აქამდე არსებული გეგმისაგან: მასში მრავლადაა პოლიტიკური, ანუ უკიდურესად იდეოლოგიზირებული საგნები:

"სკკპ ისტორია" /ყველასდა გასაკვირად კვლავ ძველი სათაურით/ "პოლიტეკონომია", "მეცნიერული კომუნიზმი", "საბჭოთა სამართალი" და ბოლოს "სამოქალაქო თავდაცვა", რომლის ლექციებზეც აღბათ სტუდენტმა უნდა ისწავლოს, თუ როგორ დაუკარგოს მოქმედების ძალა ა.შ.შ.-ს მიერ ჩამოგდებულ ატომურ ბომბს.

უცხო ენათა ინსტიტუტში არსებულმა ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობმა ჯგუფმა-სტუდენტურმა კავშირმა შეიმუშავა უცხო ენათა ინსტიტუტის ალტერნატიული სასწავლო გეგმა, რომელშიაც, რა თქმა უნდა, არც ერთი ხსენებული საგანი არ შესულა და რომელსაც, ჩვენის მხრივ, ვთავაზობთ ინსტიტუტის რექტორატს.

მაგრამ განსხვავებით საკავშირო უწყების ბიუროკრატიისაგან, რომლის წარმომადგენელთაც თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი აღბათ თვალითაც არ უნახავს, ჩვენ იგი შევიმუშავეთ ჩვენი ინსტიტუტის რეალური /კატასტროფიული/ მდგომარეობიდან, უკეთესიმომავლის რწმენიდან და იმ საღი აზრიდან გამომდინარე, რომ რაც უფრო მეტი არაენობრივი და საერთოდ, ენათმეცნიერებისაგან შორს მდგომი, ენის შესწავლისათვის არასავალო საგანი მოაკლდება სწავლებას, მით უფრო ამაღლდება ინსტიტუტის პროფესიული და ინტელექტუალური დონე.

დროა, უცხო ენათა ინსტიტუტი ამზადებდეს არა "ყოვლისმცოდნე", "განათლებულ", მაგრამ თავის სპეციალობაში დიდტანტ მასწავლებლებს, რომელნიც თავის მხრივ, სკოლებში განაწილებულნი უცხო ენათა ინსტიტუტისათვის დაბალ დონეზე მომზადებულ აბიტურიენტებს, არამედ პროფესიონალებს, ანუ თავისი პროფესიის ჭეშმარიტ მცოდნეთ, რომელნიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თავად გადაწყვეტენ, ცხოვრების რა სფეროში გამოიყენონ ეს ცოდნა, თარჯიმნობა იქნება ეს, მთარგმნელობა, პედაგოგობა თუ სხვა.

ამ მოსაზრებით, ზემოთჩამოთვლილ პოლიტიკურ საგნებთან ერთად სასწავლო გეგმიდან ამოღებულ იქნა "სექსოლოგია", რადგან თუკი დასავლეთიდან შემოგვაქვს საგანი, იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, თუ რა ასაკის ბავშვებს ასწავლიან მას თვით დასავლეთში... "სექსოლოგია" უნდა ისწავლებოდეს სკოლის VIII-IX კლასებში და არა უმაღლესი სასწავლებლის V კურსზე.

აგრეთვე, ამოღებულ იქნა "ინფორმატიკაც", რადგან ჩვენს ინსტიტუტს არც დღეს, არც მომავლისათვის არ გააჩნია არა მხოლოდ ის, რაც ამ საგნისათვის აუცილებელია, არამედ მისი შემენის პერსპექტივაც. აქედან გამომდინარე, ამ საგანში ლექციების ჩატარება ძვირფასი დროის ამაოდ კარგვა და წყლის ნაყვაა.

საერთოდ, უმეტესობა იმ საგნებზე, რომელთა სწავლებაზედაც უარი ითქვა, უარი ითქვა არა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი სწავლება ენის შესწავლისათვის ზედმეტია, არამედ უფრო იმის გამო, რომ საგნის სწავლება არ დგას სასურველ დონეზე და ლექციები

გაგრძ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა თუ იმ საგანში ანეგდოტთა ურთიერთგაცვლის ასპარეზად იქცევა ხოლმე, ჩვენ კი გვსურს, რომ უცხო ენათა ინსტიტუტი გადაიქცეს ენის დაუფლების ინტენსიური შრომის კერად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენის სრულყოფილად დაუფლება ფიზიკურად შეუძლებელი გახლავთ იმ ერის წარმომადგენლებთან, რომელთა ენასაც ვსწავლობთ, უშუალოდ, ცოცხალი კონტაქტის გარეშე. უამისოდ ცოდნა ვერ სცილდება პასიური ცოდნის ფარგლებს, რაც უცოდინარობის ტოლფასია. ეს უნდა გაითვალისწინოს რექტორატმა, რათა უახლოეს მომავალში გააფართოოს ურთიერთობები და დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები უცხოეთის უნივერსიტეტებთან თუ ინსტიტუტებთან, რათა ჩვენი ინსტიტუტიდან საზღვარგაეთის ქვეყნებში სტუდენტები გაიგზავნონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამის საშუალება კი მას ღღეს აქვს.

ძველი სასწავლო გეგმა ბევრ სასაცილოსა თუ სატირად კურიოზს ქმნიდა ჩვენს ინსტიტუტში: მაგალითად, II კურსის 1 სემესტრის ბოლოს დანიშნული იყო გამოცდა ე.წ. "XX საუკუნის სოციალ-პოლიტიკურ ისტორიაში", "ფსიქოლოგიაში", "ლექსიკოლოგიაში", "ათეიზმში" / თავისი ახალი სათაურით/, ჩათვლა კი, არც მეტი, არც ნაკლები-ბირი - თად. უცხო ენას ერგო.

კურიოზი იყო აგრეთვე ის, რომ "ფიზაღზრდას" ეთმობოდა კვირაში 4 საათი, ხოლო ენის დაუფლების უცილობელ პირობას "ფონეტიკას" - 2. ანუ ერთადერთი ლექცია კვირაში.

"ფონეტიკას" კი, ჩვენი აზრით, უნდა ეთმობოდეს არანაკლებ 6 საათისა კვირაში I-დან III კურსის ჩათვლით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ყოველი ნახევარი სემესტრის ბოლოს ტარდებოდეს გამოცდა "ფონეტიკაში".

საათების რაოდენობა მოემატა აგრეთვე ლათინურ ენას და საქართველოს ისტორიას, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა ისწავლებოდეს არა IV-V კურსზე არასრული პროგრამით, არამედ I-დან III კურსის ჩათვლით, რათა სტუდენტმა ინსტიტუტში მაინც მიიღოს ის ცოდნა საკუთარი სამშობლოს შესახებ, რაც მან ცნობილი მიზეზების გამო ვერ მიიღო სკოლაში.

რაც შეეხება ე.წ. "რელიგიისა და ათეიზმის ისტორიას და თეორიას", ჩვენს მიერ შემუშავებულ გეგმაში საათების რაოდენობა შენარჩუნებულია, ცვლილება შეეხო თვით საგნის აღმაშფოთებელ ფორმულირებას და მისგან ამოვარდა სიტყვა "ათეიზმი". ისეთ ინსტიტუტში, როგორიც უცხო ენათა ინსტიტუტია, აუცილებელია ისწავლებოდეს ანტიკური ლიტერატურის ისტორია.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ ასეთი სიდიდის რეფორმის მოხდენა ბევრ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, კერძოდ, კადრების პრობლემასთან, მაგრამ ბევრმა სხვამაც უნდა გაიგოს, რომ პროფესიონალიზმს საქართველოში, რომლის არქონასაც ასე ხშირად გვიკიჟინებენ ახალგაზრდებს, ღღეს სწორედ ეს ნაბიჯი სჭირდება და თვით მისი უდიდესი მნიშვნელობა მოითხოვს ყველასაგან, ვისაც რაღაცის დათმობა მოუხდება, საქართველოსათვის, რომელიც ასე უყვარს და რომლისთვისაც, რომ გვეკითხა, აღბათ, სიცოცხლესაც გასწირავდა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც დათმოს რაღაც საკუთარი, ერთხელ მაინც დააყენოს საქართველოს, ქართული საქმის ინტერესები პიროვნულზე მაღლა და წინ არ აღუდგეს მას.

ძველი სასწავლო გეგმიდან ამოღებულია აგრეთვე "ზოგადი" და "ასაკობრივი ფსიქოლოგია", "პედ.ისტორია", "პედაგოგიკა", და "უცხო ენის სწავლების მეთოდიკა". მიზეზი ერთია: უცხო ენათა ინსტიტუტი არ უნდა იყოს მხოლოდ პედაგოგიური, არამედ უნდა იყოს პედაგოგიური ფაკულტეტი თვით მის შიგნითაც, სადაც სტუდენტები უცილობლად გაივლიან ყველა ზემოთხსენებულ საგანს. ეს საკითხი დიდი ხანია აწუხებს ინსტიტუტს და დადგა დრო მისი გადაჭრის!

ყოველივე ზემოთგანმარტებულიდან გამომდინარე, უცხო ენათა ინსტიტუტში არსებული ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი ჯგუფი - სტუდენტური კავშირი მიმართავს უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორატს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები განხილულ იქნას, რათა ამ სასწავლო პროგრამის მიხედვით დაიწყოს ინსტიტუტმა მუშაობა ახალ 1990-1991 წელს;

1. მიღებულ იქნას ჩვენს მიერ წამოყენებული ახალი სასწავლო გეგმა არსებული სახით.

2. ყოველი ფაკულტეტი გაიყოს ორ სხვადასხვა სექციად: პედაგოგიურ და მთარგმნელობითად და ამის შესაბამისად ენობრივი კათედრები დაიყოს ენობრივ-პედაგოგიურ და ენობრივ- მთარგმნელობითად;

3. გაუქმდეს ე.წ. XX საუკუნის სოციალ-პოლიტიკური ისტორიის კათედრა და მის ნაცვლად დაარსდეს საქართველოს ისტორიის კათედრა;

4. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს შეეცვალოს სახელი და დაერქვას თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი.

უცხო ენათა ინსტიტუტში არსებული
ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი
ჯგუფი - სტუდენტური კავშირი.

საინსტიტუტო საბჭოების სტრუქტურა და ფუნქციები
/პროექტი ინსტიტუტის წესდებისათვის/

ამა წლის იანვარში ჩატარდა ჩვენს ინსტიტუტში არსებული რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის კრება. კრებაზე განიხილეს და დაამტკიცეს პროექტი ინსტიტუტის წესდებისათვის. გთავაზობთ ამ პროექტს.

◆◆◆

მოსკოვში 1989 წლის 7 ივლისს დამტკიცებული " უმაღლესი სკოლის დებულებას" უნდა მივუდგეთ იმ პრინციპის მიხედვით, რომელსაც რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ამჟამად იყენებს "ცენტრიდან" გამოგზავნილი კანონების მიმართ: მივიღოთ ის, რაც პასუხობს ჩვენს ინტერესებს და უკუვაგდოთ ის, რაც ამ ინტერესებს ეწინააღმდეგება. თუ ჩვენ დავეყრდნობით ათეული წლების გამოცდილებას და მიზნად დავისახავთ რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის ინტერესებისა და ამოცანების განხორციელებას, მაშინ ხსენებულ დებულებაში არსებითი კორექტივები უნდა შევიტანოთ. ამ უკანასკნელს კი, ვფიქრობთ, საფუძვლად შემდეგი პრინციპი უნდა დაედოს:

1. საფუძველი ჩაეყაროს ინსტიტუტის მომავალ ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა ს.

2. ინსტიტუტში ყველა სტრუქტურულ დონეზე თანმიმდევრულად განხორციელდეს სრული დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა.

3. ინსტიტუტის რექტორთან და პროფესორ-მასწავლებლებთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე რეალური და ქმედითი გახდეს სტუდენტთა თ ვ ი თ - მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა.

4. შეიქმნას მაქსიმალური ხელისშემწყობი პირობები იმისათვის, რომ ინსტიტუტში სასწავლო, აღმზრდელობითი და მეცნიერულ საქმიანობას საფუძვლად დაედოს ჭეშმარიტი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი მიღწევები.

5. შეიქმნას მაქსიმალური ხელისშემწყობი პირობები ინსტიტუტში მთელი სასწავლო, აღმზრდელობითი და მეცნიერული საქმიანობის ე რ ო ვ ნ უ ლ ნიადაგზე წასამართავად.

6. მოხდეს ინსტიტუტის შიდაცხოვრების პრინციპული დ ე ი დ ე ო ლ ო გ ი ზ ა ც ი ა, /წებისმიერი პარტიული იდეოლოგიის მონოპოლური ზეგავლენისაგან განთავისუფლება /.

ინსტიტუტში უნდა მოქმედებდეს ოთხი ინსტანცია, რომელთაც უნდა შეასრულონ საინსტიტუტო საბჭოების ფუნქციები:

1. ინსტიტუტის სტუდენტთა და მასწავლებელთა ს ა ე რ თ ო კ რ ე ბ ა;
2. ინსტიტუტის საბჭო / დიდი საბჭო/;
3. სამეცნიერო საბჭო;
4. რექტორატი.

დასახელებული საბჭოების ურთიერთკორდინირებული ფუნქციონირება უნდა გახდეს ზემოთ ფორმულირებული 6 პრინციპის რეალიზაციის გარანტია.

საინსტიტუტო საბჭოების სტრუქტურა, ფუნქციური და რაოდენობრივი ასპექტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ს ა ე რ თ ო კ რ ე ბ ა

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა საერთო კრება მოიწვევა შემდეგი პრინციპით: სტუდენტთა წარმომადგენლები საფაკულტეტო კრებებზე, პედაგოგები და ლაბორანტები კათედრების სხდომებზე, მუშა-მოსამსახურეები კრებებზე ღია კენჭისყრით ირჩევენ თითო წარმომადგენელს 5 კაცზე. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ღია ან ფარული კენჭისყრის საფუძველზე, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. საერთო კრება ამტკიცებს და აუქმებს ინსტიტუტის წ ე ს დ ე ბ ა ს, შეაქვს მასში საჭირო კორექტივები, იხილავს ინსტიტუტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის სხვა საკითხებსაც.

ინსტიტუტის საერთო კრებას უძღვება კრებაზე არჩეული თავმჯდომარე.

გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ შეიძლება მიიღოს საინსტიტუტო ნებისმიერმა საბჭომ /დიდი საბჭო, სამეცნიერო საბჭო, რექტორატი/.

ინსტიტუტის თანამშრომელთა ან სტუდენტთა ნებისმიერმა ჯგუფმა /შემადგენლობით არა ნაკლებ 50 კაცისა/ შეიძლება მიმართოს რექტორატს საერთო კრების მოწვევის თაობაზე.

ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს ს ა ბ ჭ ო
/დიდი საბჭო/

ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობაში უნდა შევიდნენ:

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო სრული შემადგენლობით /ინსტიტუტის საბჭოს არა უმეტეს 50%;

2. ინსტიტუტში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული გაერთიანებების პირველადი ორგანიზაციების წარმომადგენელნი;

3. ფარული კენჭისყრით არჩეული პროფესორ-მასწავლებლები /არანაკლებ 15%-სა/ სტუდენტები და ასპირანტები /არანაკლებ 25%-სა/, ინსტიტუტის თანამშრომლები /არანაკლებ 10%-სა/.

ინსტიტუტის საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 100 კაცის ოდენობით.

ინსტიტუტის საბჭოს მუშაობის რეგლამენტს განსაზღვრავს საინსტიტუტო წესდება.

ინსტიტუტის საბჭო აირჩევა 5 წლის ვადით. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში /არა უგვიანეს 15 სექტემბრისა/ უნდა მოხდეს საბჭოს შემადგენლობის შევსება იმ წევრთა რაოდენობრივი კომპენსაციის მიზნით, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით გამოვიდნენ საბჭოს შემადგენლობიდან.

შენიშვნა : საჭირო შემთხვევებში დასაშვებია ინსტიტუტის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა.

ინსტიტუტის საბჭო უფლებამოსილია:

1. წესდებაზე დაყრდნობით განსაზღვროს ინსტიტუტის შინაგანაწესი;
2. აირჩიოს რ ე ქ ტ ო რ ი /ინსტიტუტის რექტორი არის საბჭოს თავმჯდომარე/;
3. განიხილოს და დაამტკიცოს ინსტიტუტის სამუშაო გეგმა; წელიწადში ორჯერ /პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს/ მოისმინოს რ ე ქ ტ ო რ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი, წინასწარ განხილული რექტორატის სხდომაზე; შეაფასოს იგი ღია კენჭისყრის საშუალებით /რექტორის მუშაობის დადებითად შესაფასებლად აუცილებელია საბჭოს წევრთა ხმების არანაკლები ორი მესამედისა/. ზედიზედ ორჯერ უარყოფითად შეფასებული ანგარიში ჩაითვალოს საბჭოს მიერ რექტორისადმი უნდობლობის გამოხატვად /რექტორი ავტომატურად ტოვებს თანამდებობას და ცხადდება არჩევნები/.

შენიშვნა: რექტორის ყოველი ანგარიში უნდა იძლეოდეს კონკრეტულ მასალას იმის თაობაზე, თუ

1. რა გაკეთდა საანგარიშო პერიოდში სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი მოდერნიზაციისა და პროფესიონალიზაციის მიზნით;
2. რა გაკეთდა ინსტიტუტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით;
3. რა გაკეთდა საზღვარგარეთთან სასწავლო-სამეცნიერო ურთიერთობის დამყარებისა და გაფართოების მიზნით;
4. რა გაკეთდა ეროვნულ მოძრაობაში ინსტიტუტის უ შ უ ა ლ ო მონაწილეობის თვალსაზრისით.

4. განიხილოს ყველა ის პროცედურული პრობლემა, რომელიც შეიძლება გაჩნდეს კათედრის გამგეთა და დეკანთა არჩევნების დროს და მიიღოს /ღია ან ფარული კენჭისყრით/ შესაბამისი გადაწყვეტილება.

შენიშვნა: კათედრის გამგის და კათედრის წევრთა არჩევა ხდება შესაბამის კათედრაზე ფარული კენჭისყრით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კათედრის გამგის არჩევისას შეიქმნა რაიმე სახის პროცედურული ჩიხი, საკითხს განიხილავს ინსტიტუტის საბჭო, რომელსაც ამასთან დაკავშირებით შეუძლია მიიღოს /ღია ან ფარული კენჭისყრით/ ერთ-ერთი შემდეგ გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტილებათაგანი:
1. თავის თავზე აიღოს შესაბამისი კათედრის გამგის არჩევა /ფარული კენჭისყრით/;
2. დაავალოს კათედრის გამგის არჩევა /ფარული კენჭისყრით/სამეცნიერო საბჭოს.

რ ე ქ ტ ო რ ა ტ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

1. რექტორი
2. პრორექტორები
3. დეკანები
4. სასწავლო ნაწილის გამგე
5. კადრების განყოფილების გამგე
6. მთავარი ბუღალტერი
7. ბიბლიოთეკის გამგე
8. ტექნიკურ საშუალებათა ლაბორატორიის გამგე
9. საბჭოს წევრ სტუდენტთაგან ორ-ორი წარმომადგენელი ფაკულტეტების მიხედვით.

შენიშვნა: ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარე არ არის რექტორატის წევრი,იგი ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელია,მაგრამ რექტორი ვალდებულია მოიწვიოს რექტორატის ყოველ სხდომაზე.

სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა

1. რექტორი /თავმჯდომარე/
2. პრორექტორები /სასწავლო და სამეცნიერო დარგში/
3. დეკანები
4. ინსტიტუტში არსებული ყ ვ ე ლ ა კათედრის გამგე
5. ყველა კათედრის თითო წარმომადგენელი /კათედრაზე ფარული კენჭისყრით არჩეული/.
   ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა ტარდება თვეში ერთხელ.
6. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების საბჭოების თავმჯდომარეები.

ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი:
1. განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმებს და მათი შესრულება-შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
2. ირჩევს პროფესორ-მასწავლებლებს სამეცნიერო თანამდებობებზე და ანიჭებს მათ სამეცნიერო წოდებებს;
3. იღებს გადაწყვეტილებებს კათედრათა დაარსებისა თუ გაუქმების,გაერთიანებისა თუ დაყოფის თაობაზე.

შენიშვნა: კათედრის გამგის და კათედრის წევრთა არჩევა ხდება შესაბამის კათედრაზე ფარული კენჭისყრით.

რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის გამგეობის წევრები:
1. ამირან ლომთაძე
2. გურამ ლებანიძე
3. მზია ბაკრაძე
4. გენო ცინცაძე
5. მზაღო დოხტურიშვილი
6. კოტე გოგოლაშვილი
7. ოთარ ჯანელიძე
8. თამარ მიწონელიძე
9. ლეილა ქემაშვილი

◆◆◆

საერთაშორისო ფოსტა

ახლოვდება ჩვენი ერისათვის ავადსახსენებელი თარიღი 25 თებერვალი, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის 69-ე წლისთავი.

ნიკოლოზ მათიკაშვილის წიგნში "საქართველო და ბოლშევიკური ომი"მკაფიოდ და ნათლად არის გაანალიზებული საქართველოსა და რუსეთს შორის ომის მსვლელობა.

ნიკოლოზ მათიკაშვილი 1918-21 წლებში იუნკერი გახლდათ,იგი მონაწილე იყო მთელი ამ ბრძოლებისა და ამიტომაც, ვფიქრობ, ბევრ საყურადღებო ფაქტებს გვაცნობს იგი და ამ წიგნზე დაყრდნობით დაწერილი ეს სტატიაც არ იქნება ინტერესმოკლებული ჩვენი მკითხველისათვის.

ნ.მათიკაშვილი აღნიშნავს,რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალას შეადგენდნენ ჯარი და გვარდია.საერთოდ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებისათვის და მომზადებისათვის არსებობს ორი გზა, პირველი: მილიციური მომზადება,რაც გულისხმობს სამხედრო წრთვნას ყველა დაწესებულებებში და ფაბრიკა-ქარხნებში,მაგრამ ეს სისტემა გამართულებულია უფრო ექსტრემალურ სიტუაციაში. მეორე:საყოველთაო-სამხედრო ბეგარა,რომელიც ითვალისწინებს ყოველი მოქალაქის განსაზღვრული ვადით ჯარში სამსახურს,რომლის შემდგომ ისინი მიდიან თადარიგში.ეს უფრო პროგრესული გზაა,კარგად შეიარაღებული და ორგანიზებული ჯარის შესაქმნელად.

საქართველოში ორივე ტიპის სამხედრო ნაწილებთან გვქონდა საქმე გვარდიისა და ჯარის სახით.მთავრობის უფრო მეტი სიმპათია გვარდიის მხარეს იყო.გვარდია უკეთ იყო შემოსილი და შეიარაღებული,ამან გამოიწვია უკმაყოფილების ჩამოვარდნა ჯარსა და გვარდიას შორის და როცა მთავრობამ ერთის მხარე დაიჭირა,ამას შედეგად მოჰყვა ჯარის უნდობლობა მთავრობის მიმართ.(როგორც ქვემოდ ვნახავთ,ზოგიერთნი, თუმც არც ისე ბევრნი,რაოდენობით მაინც გადავიდნენ მტრის მხარეზე).

1918-1921 წლებში ჩახშობილი იყო მთავრობის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე აჯანყება.ბატონი პროფესორი რიჩარდ პაიფსი თავის წიგნში "საბჭოთა კავშირის ფორმირება" აღნიშნავს,რომ "ეს აჯანყებები ინსპირირებული იყო ბოლშევიკების მიერ, რათა მოეხდინათ ქვეყანაში არეულობა".

თვით ნიკოლოზ მათიკაშვილიც შედიოდა ოპოზიციურ პარტიაში,აკრიტიკებდა მთავრობის შეცდომებს,მაგრამ მას სურვილი არ ამოძრავებდა მთავრობის შეცვლისა და მიუთმეტეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვისა,პირიქით, მას სურდა ქვეყნის სამხედრო- ეკონომიკური გაძლიერება.

თვითონ საბჭოთა იმფორმაციის წყაროებიდან ირკვევა,რომ ეს აჯანყებები მოწყობილი იყო იმის გამო,რომ შეესუსტებინათ დენიკინის არმიის დაწოლა ბოლშევიკური რუსეთის სასიცოცხლო ცენტრებზე, რათა დენიკინს მოუხდებოდა არეულობის დროს ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილების გადაგზავნა საქართველოში,რაც შეასუსტებდა დენიკინის არმიის იერიშებს.

დიახ, რუსეთის გადასარჩენად სამსხვერპლოზე მიტანილი იყო საქართველოს ეროვნული ინტერესები,ეს უკვე მერამდენედ!

დავუბრუნდეთ ისევ ნიკოლოზ მათიკაშვილის წიგნს. 1918 წლიდან სამხედრო შტაბის უფროსი იყო გენერალი ოდიშელიძე.გენერალმა გიორგი კვინიტაძემ მიმართა მას და თვით პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას ჯერ კიდევ 1920 წლის მაისს (ამ დროს 1920 წლის 7 მაისს დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის თავდაუსხმელობის შესახებ),რომ საჭიროა მზადება თავდაცვისათვის,საჭიროა გვარდიაში,ჯარში და სახელმწიფო აპარატში უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება,მაგრამ მიუხედავად ამისა მთავრობას არ მიუღია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

1920 წლის ნოემბერში თადარიგში გაუშვეს ვალმოხდილი და ზედმეტად ნამსახური ჯარისკაცები,ხოლო ახალი შევსება მოვიდა 10 თებერვალს 1921 წელს, მათ ჯარისკაცებად აღზრდას კი დრო უნდოდა. "ამ სამი წლის მანძილზე ჩვენ არასდროს არ ვიყავით ისე სუსტნ, როგორც ბოლშევიკებთან ომის წინა დღეს,გარდა ამისა ომის საფრთხე იქმნებოდა სომხეთის მხრიდან და შესაძლოა ოსმალეთის მხრიდანაც,მაგრამ იმედოვნებდნენ,რომ კარაბეკერ-ფაშა დაუცდიდა სამხედრო ოპერაციის შემდგომ განვითარებას რუსეთის მხრივ და მისი წარმატების შემთხვევაში ის დაიკავებდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მიკუთვნებულ ტერიტორიას, ასე რომ ჩვენ სამივე მხრიდან უნდა დავლოდებოდით დარტყმებს. მაგრამ სივრცის სიცოტავე და მნიშვნელოვანი პუნქტების საზღვართან სიახლოვე საშუალებას არ გვაძლევდა ღრმად შემოგვეშვა მტერი არც-ერთი დასახელებული ფრონტიდან.ჩვენს წინაშე იდგა ამოცანა ქვეყნის შიგნით მოხერხებული მანევრების საშუალებით ცალ-ცალკე დაგვემარცხებინა მტერი.აი ასეთი მდგომარეობა იყო ბოლშევიკებთან ომის დაწყების წინ".

მართებულად აღნიშნავს პროფესორი რიჩარდ პაიფსი თავის წიგნში,რომ "რუსეთის იმპერია არის დიდი ფეტიში,რომელსაც ეტრფის,ემსახურება, ცარიზმი იქნება ეს თუ ბოლშევიკები".

ბოლშევიკებთან ომი გარდაუვალია,ეს გარკვევით ჩანს რუსეთის მიერ აზერბაიჯანის სომხეთის და ჩრდილო კავკასიის ოკუპაციიდან და მე-11 არმიის მეთაურის გეკერის წერილიდან. თვით ლენინიც და ტროცკიც აღნიშნავდნენ,რომ დადგა დრო საქართველოს გასრესისა,მაგრამ რატომღაც მენშევიკურ მთავრობას ისევ სჯეროდა,რომ ბოლშევიკები არ დაარღვევდნენ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას. ღმერთო შემიწყალე!!!

12 თებერვალს თბილისში მოდის გენერალ გედევანიშვილის დეპეშა: "სომხები თავს დაგვესხნენ,ჯარის ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს,ხოლო ნაწილმა გაქცევით უშველა თავს,მათ დატოვეს შეიარაღება და ინგლისელთა მიერ დატოვებული ზარბაზნები."

დიახ,ეს ასე იყო,მაგრამ სომხეთს არ უცდია ქვეყნის შიგნით შემოჭრა,ბრძოლის ადგილზე ორ დღეს იდგა საპიორების ორი ათასეული,რომელთაც მტერი თვალითაც არ უნახავთ. ამ დროს გამოცხადდა ჯარის მხოლოდ ნაწილობრივი მობილიზაცია. ვალიკო ჯუღელმა (გვარდიის უფროსმა) განაცხადა:"მთავარსარდლის შტაბში უიმედო მდგომარეობაა,შტაბი პანიკამ მოიცვა,გენერალი ოდიშელიძე უმწეო მდგომარეობაშია,საჭიროა ახალი გენერლის მოწვევა".

მართლაც მოიწვიეს ახალი გენერალი,გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა გიორგი კვინიტაძე.მან დანიშვნისთანავე განაცხადა: "გვიან მეძახით,მაგრამ თუ გჭირდებით მზად ვარ".

გიორგი კვინიტაძეს ადრე წარმატებით ჰქონდა ჩატარებული ახალციხის ოპერაცია და დამარცხებული ჰყავდა სომხეთი.

გენერალმა კვინიტაძემ გადაწყვიტა მოეწყო თბილისის დაცვა იმით რაც იყო.ლის წესრიგში იდგა საკითხი ნუთუ საქართველო არ გაუწევს წინააღმდეგობას ბოლშევიკებს და ისევე სირცხვილნაჭამი დანებდება მათ, როგორც სომხეთი,აზერბაიჯანი და ჩრდილო კავკასია?

მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა,მოსპობილია ორი პოლკი,მიდის პოლკოვნიკ ვაჩნაძის ორი ასეული,გენერალი კვინიტაძე გადამჭრელ ზომებს ღებულობს,შენდება თავდაცვითი ნაგებობანი.

ბოლშევიკებმა ვერ ისარგებლეს ამ არეულობით და ვერ მიიტანეს დაუყონებლივი იერიში თბილისზე.გიორგი კვინიტაძემ გამოაცხადა დაუყონებლივი საერთო მობილიზაცია.

თბილისის მისადგომებს იცავდნენ:გენერალი ფარნაოზ ანდრონიკაშვილის დივიზია, კოჯრიდან თელეთის მონასტრამდე,მის განკარგულებაში იყო მე-4 ათასეულის ქვეითი ჯარი და სამხედრო სკოლის იუნკერები.

მარცხნივ თელეთის მონასტრიდან მდინარე მტკვარამდე თბილისს იცავდა გენერალი მაზნიაშვილი.მის ჯარებს შეადგენდნენ მე -9 ქვეითი ათასეული ორი სადარაჯო ათასეულით და ერთი ჯავშნოსანი მატარებელი.

ეს ძალზე მცირე ძალები იყო გაცილებით მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ, მაგრამ გენერალმა გიორგი კვინიტაძემ გადაწყვიტა მიელო ბრძოლა.თბილისს კიდევ შეუძლია მისცეს ქალაქის დამცველებს ორი სადარაჯო ათასეული და ერთი სამხედრო სკოლა.

18-19 თებერვალს თბილისმა პირველი გამარჯვება იზეიმა.გენერალმა მაზნიაშვილმა უკუაგდო მტრის ჯარები და დაატყვევა 1600 ბოლშევიკი, მაგრამ დამარცხებული მტრის დევნა ვერ შეძლო,როგორც თვითონ აღნიშნა ჯარის ფიზიკური დაღლილობისა და რეზერვების უქონლობის გამო.

საპარლამენტო და თებერვალი

უჩა ძიძავა

გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში.

სტუდენტური გაზეთი №3

ეროვნული ბიბლიოთეკა

• "და მოვისმინე სხვა ხმა ციდან, რომელიც ამბობდა: გამოდით მისგან, ჩემო ხალხო, რომ არ ეზიაროთ მის ცოდვებს და არ მიიღოთ მისი წყლულებისაგან."

• "ვინაიდან მისმა ცოდვებმა ცამდე მოაღწია და გაიხსენა ღმერთმა მისი უსამართლობანი."

• "მიუზღეთ მას, როგორც მან მოგიზღოთ და ორმაგად გადაუხადეთ მისი საქმეების მიხედვით; სასმისში, რომელშიც მოამზადა, ორმაგად მოუმზადეთ მას."

• "რამდენადაც განდიდებოდა და ნებივრობდა, იმდენად მიაგეთ ტანჯვა და გლოვა, ვინაიდან თავის გულში ამბობდა: დედოფლად ვზივარ, ქვრივი არა ვარ და გლოვას არ ვნახავ."

• "ამიტომ ერთ დღეს მოვა მისი წყლულები, და სიკვდილი, გლოვა და შიმშილი და დაიწვება ცეცხლში, რამეთუ ძლიერია უფალი ღმერთი, რომელიც გაასამართლებს მას."

(გამოცხ. 18)

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დღიდან, კრემლი, სასტიკ ტერორთან და ქართველთა უღმობელ ხოცვა-ჟლეტასთან ერთად ატარებდა ჩვენი ერის / და არა მარტო ჩვენი ერის/ სულიერი გამოფიტვისა და დაცემის პოლიტიკას.

ქართველი საზოგადოების უბრწყინვალესი წარმომადგენლები იხვრიტებოდნენ, იგზავნებოდნენ ციმბირში, იძულებით მიდიოდნენ ემიგრაციაში... მხოლოდ მცირედნი გადაურჩნენ სასწაულად ლენინისა და სტალინის წითელ ტერორს და მათ მიერ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებს.

ბურთი და მოედანი კი რჩებოდათ ერის გამყიდველებს, ყოველგვარ ზნეობას მოკლებულ ადამიანებს, გაუნათლებელ წითელხელება ვაიინტელიგენტებს, შავ ქურთუკებში გამოწყობილ, ეშმაკზე სულით და ხორცით მიყიდულ ჩკ-ს მსტოვრებს... ესენი ერთად შეადგენდნენ ძლიერ მმართველ ძალას, იმ ძალას, რომელიც სულს უხუთავდა საქართველოს, ანადგურებდა მას.

მათი კრებითი სახელია- კ ო მ უ ნ ი-ს ტ ი. კომუნისტურმა რეჟიმმა ცეცხლითა და მახვილით დათრგუნა საზოგადოების დიდი ნაწილის სულიერი სიმტკიცე, მოუსპო მას სახელმწიფოებრიობის აუცილებლობის იდეა და აქცია ყურმოჭრილ მონად. ასეთ საზოგადოებად მოგვევლინენ კომუნისტური პარტიის წევრები, კომკავშირული აქტივისტები.

ერში შეაღწია ისეთმა ჯერ-არნახულმა ვირუსმა, რომელსაც შეეძლო დაეავადებინა მთელი ერი.

მაგრამ საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა. ქართველში ჯერ კიდევ ენთო თავისუფლებისაკენ მანათობელი ღამპარი. საქართველოში ამ დაავადების ეპიცენტრი იყო საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც თავიდანვე კრემლის დიქტატით შეიქმნა და დღემდე აგრძელებს არსებობას.

რა ოდემდის?

გიორგი კალანდაძე

დღეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე, ქართველთა დიდი ნაწილი კვლავაც აგრძელებს ყოფნას იმ პარტიის რიგებში, რომლის მეშვეობით თავს დაგვატყდა ის აურაცხელი უბედურებანი, საქართველოს მრავალრიცხოვან ისტორიასაც რომ არ ახსოვს.

ყოველი ქართველი კომპარტიის რიგებში არის ის ცოცხალი შემადგენელი ნაწილი, რომლითაც აშენებულია დიდი ბოროტების იმპერია.

ბოროტების იმპერია კი ინგრევა, მისი აღსასრული მოახლოებულია, მაგრამ ბევრი მისტირის მას, ბევრი ოცნებობს მის კვლავ გაძლიერებაზე, მის აყვავებაზე.

ნუთუ საქართველოშიც არიან ასეთი ადამიანები? - დიახ არიან !

- კომუნისტები, ვინაიდან სწორედ მათშია მოკლული თავისუფლებისაკენ სწრაფვის ოდნავი სურვილიც კი, ვინაიდან თავისუფლება მოითხოვს მებრძოლ სულს, სუფთა ხელებს, სამშობლოსათვის თავისდადებას, მონობაზე უარის თქმას.

განსაკუთრებით გულსაკლავია ის ფაქტი, რომ თავიანთი "მშობელი" პარტიისა და მთავრობის მიერ მოწყობილ 9 აპრილის ბარბაროსულ აქტს მათთვის არავითარი შედეგი არ გამოულია, არც ეინად. განაგრძეს კომუნისტობა და კომკავშირლობა.

კიდევ უფრო შემაძრწუნებელია ის, რომ ქართველი ახალგაზრდების მრავალი წარმომადგენელი დიდი სიამოვნების გრძნობით ხდება ამ პარტიის და ორგანიზაციის (კომკავშირის) წევრი.

პირდაპირ უნდა თქვას, რომ ქართველთა ყოფნა კომუნისტური პარტიის რიგებში სამშობლოს ნამდვილი ღალატია./იგივე თქმის კომკავშირის წევრ-აქტივისტებზე./

რა აკავებთ ქართველებს კომუნისტურ პარტიის რიგებში?

- კარიერიზმი, საკუთარი ტყავის გადარჩენა, მატერიალური კეთილდღეობის ინტერესების ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენება, რბილი სავარძლის შენარჩუნება, შიშის გრძნობა... და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი, ბევრი მათგანის გულში ჩამარხული ბოროტება და ზიზღი, რომელთა ამონთხევა გულიდან ოფიციოზის მიერ ნაკარნახევი ბრძანებით მათთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ნუთუ ისინი უცდიან იმ მომენტს თუ საით გადაიხრება გამარჯვების სასწორი? ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ თავზე ეცემათ პარტიაც და კომკავშირიც და მთელი იმპერია.

დღეს ბევრი მათგანი ორმაგ თამაშს თამაშობს: "პატრიოტობაც" სურს და ამავე დროს "კულისებში" იმედის თვალით შესცქერის პარტმანდატს, საიდანაც ე შ მ ა კ ი იმზირება.

ასეთი თამაშით სურთ მათ დატოკიდებელ საქართველოში შესვლა?

პატრიოტის ნიღბის ქვეშ კარგად ჩანს მათი ნამოქმედარიც და მათი სულიერი სამყაროც.

ყოველი კომუნისტი გვევლინება ერისა და სარწმუნოების შემღახველად, სხვა, ურჯულო რწმენის მიმდევრად, რადგანაც სწორედ კომუნისტთა მოქმედებაში ჰპოვა ახსნა აპოკალიფსურმა სიბრძნემ, სწორედ წითელი დრაკონის სახით მოევლინა კაცობრიობას ლენინ-სტალინის ბოლშევიზმი.

ხოლო ლენინ-სტალინის დუეტმა საათავე დაუდო სატანურ კერპთაყვანისმცემლობას და ეს კერპები შეიქმნენ კომუნისტთათვის სალოცავ და სათაყვანებელ ხატებად და მათ დაგმეს უფალი.

ხოლო უფალმა ამცნო კაცობრიობას:

" მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი გარეშე ჩემსა ".

მათ დაუყონებლივ უნდა დასტოვონ კომპარტიის (კომკავშირის) რიგები!

დაფიქრდნენ ვის და რას ემსახურებიან ისინი, ვის ინტერესებს იცავენ. დასტოვონ ქართველთათვის ყოვლად შეუფერებელი ჯოჯოხეთური სამლოცველო, უარყონ სატანა და ეზიარონ ქართულ სულს, ქრისტიანულ სარწმუნოებას, ნამდვილ ეროვნულ მოძრაობას, რომლის გამარჯვება გარდაუვალია!

დიახ, დიდია დანაშაული კომუნიზმისა კაცობრიობის წინაშე. აღწერილია მისი ცოდვები, ის ტანჯვა-ვალება, ადეული წღების მანძილზე რომ ატეხს ერებს.

კომუნიზმის ამ ქვეყნად მოვლენისთანავე იგრძნო ადამიანმა მისი სატანური მისია; რომ უნდა დაეღვარა ხალხთა სისხლი, რომ უნდა მოესპო მათი თავისუფლება, დაეთრგუნა სარწმუნოება და გადაექცია დედამიწა თავის საბრძანისად.

არ არის საჭირო იყო ნათელმხილველი რომ დაინახო ის შურისგება, რაც ელის წითელ დრაკონს-კომუნიზმს, მის ბუნაგს-რუსეთის იმპერიას - მეოთხე და საბოლოო იმპერიას ვინაიდან: "დაემხობა დიდი ქალაქი ბაბილონი და აღარ იპოვება". /გამოცხ.18,21/.

✦✦

სტუდენტური კავშირი აგრძელებს საპროტესტო აქციას, რაც გამოიხატება კომკავშირისა და კომპარტიის რიგებიდან გასვლით. (ამჟამად ხელთა გვაქვს ასამდე სტუდენტთა განცხადება კომკავშირის რიგებიდან გასვლის შესახებ).

კავშირი იმედოვნებს, რომ უცხო ენათა ინსტიტუტში მყოფი პარტიისა და კომკავშირის წევრები უარს იტყვიან წითელ მანდატებზე და ამით ერისა და სარწმუნოების წინაშე და ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას!

ენების შესწავლის შესახებ

როდესაც ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობაზეა საუბარი, თვალწინ წარმოგვიდგება ის ზღვა პრობლემები, რომელთა მოუგვარებლობაც ეჭვის ქვეშ აყენებს თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და არსებობას.

ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული და განვითარებული მსოფლიო კულტურები იმდენად უნიკალურია ცალ-ცალკე, რამდენადაც საერთო საკაცობრიო ცივილიზაცია.

ენა ხალხების კულტურათა განუყოფელი ნაწილია, იგი თვალნათლივ გვიჩვენებს ერის განვითარების დონეს, მის შესაძლებლობებს.

საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე უშუალო გასვლა იმაზეა დამოკიდებული, თუ "რანი ვართ დღეს-დღეობით". ეროვნულ ენერგიას სჭირდება ინტელექტუალური ძალები თარმართვა "რათა ამაოდ არ დაშრეს". თანამედროვე ქართული დიპლომატიის დაბადება უცილობლად არის განპირობებული, თუ რა ეროვნულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს შეექმნით.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამ გზაზე წარმატებისათვის, არის უცხო ენების სპეციალისტების ეროვნული კადრების მომზადება, მათი დონის განუხრელი ამაღლება.

ქართველთათვის კი დღემდე არ არსებობს ინგლისურ-ქართული, გერმანულ-ქართული, ფრანგულ-ქართული, ფრაზეოლოგიური /ორტომიანი/ და ტექნიკური ლექსიკონები.

უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტებს კი უწევთ ძალაუნებური სარგებლობა რუსულ-ენოვანი ლექსიკონებიდან, რაც არასასურველ, ზოგჯერ კი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ახალგაზრდას. აქედან გამომდინარე, მისი საზრვნო საშუალება იკვებება არამშობლიური ენის საფუძველზე. იკარგება სპეციალისტური, პროფესიონალური პოტენცია. ცნობილია, რომ სხვადასხვა ენათა სპეციფიკა სხვადასხვა უნარის, ნიჭის, თითოეულ ენათა დაუფლების შემძლე პიროვნებაშია, რაგინდ უნივერსალური არ უნდა იყოს ენა, ზოგისიტყვიერი მნიშვნელობა არ შეეფარდება სხვა ენის აზრს და წყობას.

საკმაოდ დაბალ დონეზეა უცხო ენების შესწავლა საშუალო სკოლებში, სახელმძღვანელოების შედგენაში არ იღებენ მონაწილეობას კვალიფიცირებული სპეციალისტები და ფსიქოლოგები. თემატურად გაკვეთილები მშრალია. მაგალითად, ინგლისური ენა სკოლებში ისწავლება ლენინის ბიოგრაფიით /ლენინი გიმნაზიაში, ლენინი გადასახლებაში, ლენინი ჩვენი ბელადი და ა.შ./ როგორ შეიძლება შექსპირის და ბაირონის ენა რუსი რევოლუციონერის ბიოგრაფიით ვასწავლოთ. თუ ახალი სახელმძღვანელოების დაწერა არ შეგვიძლია, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ის წიგნები მაინც გამოვიყენოთ, რაც ინგლისში უკვე შექმნილია და დანერგილი. უნდა ვასწავლოთ ბავშვებს ნამდვილი ინგლისური ენა და არა ინგლისური ენის ქართულ-რუსული ვარიანტი, როგორც ეს დღემდე ხდება.

ინგლისური ენის ფაკულტეტის სტუდენტებს არა აქვთ შესაძლებლობა, ორიგინალში უყურონ ინგლისურ ან ამერიკულ ფილმს არ არსებობს ენობრივი კოწტაქტი უცხოელებთან. ისე ამთავრებენ სტუდენტები ინსტიტუტს, რომ არცკი მოესმენიათ უცხოელების საუბარი.

იგივე თქმის გერმანული და ფრანგული ფაკულტეტის სტუდენტებზე. ამგვარ ვითარებას კი დაბალ პროფესიონალიზმამდე მივყევართ. ამ პრობლემების გადაჭრის გარეშე, უცხო ენების სწავლების დონე ოდნავადაც არ ამაღლდება.

ბექა სირბილაძე

• • •

ინფორმაცია

საქართველოში დაარსდა ვენის შეთანხმების ხელშემწყობი სახოგადოება-"ვენის კავშირი". ა/წლის 24 იანვარს გაიმართა ვენის კავშირის დამფუძნებელი კრება. კრებამ აირჩია გამგეობა ოთხი კაცის შემადგენლობით: გამგეობაში შევიდნენ: რევაზ ფხაკაძე, დავით ზურაბიშვილი, დავით ფოცხიშვილი და უჩა ძიძავა. არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია, მდივანი და ხაზინადარი. "ვენის კავშირი" წარმოადგენს მოქალაქეთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის დებულებების ცხოვრებაში გატარებას.

"ვენის კავშირი" ხელმძღვანელობს შემაჯამებელ დოკუმენტში წარმოდგენილი პრინციპებით, მუშაობს კოლეგიალურად და უზრუნველყოფს თვალსაზრისთა თავისუფალ გამოთქმას განსხვავებულ აზრთა პატივისცემის საფუძველზე. დაწვრილებით კავშირის მიზნები და ამოცანები გამოქვეყნდება პრესაში.

□□□□

" სტუდენტური გაზეთის" მკითხველებს!

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ და მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები და წინადადებები ჩვენი გაზეთის შესახებ. გთხოვთ აგრეთვე გამოგვიგზავნოთ წერილები მნიშვნელოვან და მტკივნეულ თემებზე.



-უკაცრავად, აქ რის ცოდნას იძლევიან?
-არა, ბატონო, აქ ცოდნას კი არა საპონს იძლევიან.

ამ ბოლო დროს უმაღლესი სასწავლებლები სავაჭრო ცენტრებს უფრო ენგაგსებიან, ძალიან გახშირდა საპნის, სარეცხი ფხვნილის, პერანგების /"საროჩკების"/ შემოტანა-გაყიდვა.

სარედაქციო ჯგუფი:
ბეჟან ენუქიძე, ლევან რამიშვილი,
უჩა ძიძავა, ბადრი ფარულავა